ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1084454

ნომერი: AR1190377

თარიღი : 16.01.2014

გაცემის თარიღი : 21.01.2014

გაცნობის თარიღი : 21.01.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტიულენევის ქუჩა N11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ელიზბარაშვილი პ/ნ 01002011119
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 1 ბ. 133

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს2009 წლის 5 ივნისის "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით #01.11.10.008.037) დღეის მდგომარეობით მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 6–ის (სზ–6) სტატუსი. აღნიშნულიზონა წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტიურად განისაზღვრა ამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნობრივი დანიშნულება და ის პირობები, რამაც უნდა უზრუნველყოს ისეთი მოცულობით-სივრცითი მასშტაბის არქიტექტურული ობიექტის ჩამოყალიბება, რომელიც მისაღები იქნება ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი ტერიტორიის განაშენიანებისათვის, როგორსაც წარმოადგენს საპროექტო ტერიტორია და რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ცალკეული ობიექტის მშენებლობას და მის არქიტექტურულ იერსახეს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან და იმის გამო, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი როგორც მოცულობითი, ისე არქიტექტურულ-კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტილების თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს ისეთი ობიექტის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ამასთანავე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. #57 დადგენილების 65-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე დადგენილია ასეთ ზონებში I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების განთავსების მიზანშეუწონლობა, სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ უკვე გეცნობათ სამსახურის №712960, №722581 და №765754 გადაწყვეტილებებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.